განკარგულება:**გ-49.49220289**
თარიღი:**28/01/2022**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 10

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის 30 ნოემბერს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #176 ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული 36 ერთეული 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერის (ღირებულებით 20 080 ლარი) უსასყიდლოდ საკუთრებაში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 იანვრის 48-48220273 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის 30 ნოემბერს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #176 ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული 36 ერთეული 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერის (ღირებულებით 20 080 ლარი) უსასყიდლოდ საკუთრებაში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის 30 ნოემბერს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #176 ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული 36 ერთეული 1100 ლიტრიანი ნაგავშემკრები კონტეინერის (ღირებულებით 20 080 ლარი) უსასყიდლოდ საკუთრებაში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის“ გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი